


გაუმარჯოს თავისუფალ ხელოვნებას
თავისუფალ საქართველოში!

გაუმარჯოს საქართველოს
დემოკრატიულ რესპუბლიკას!

# ,,თეატრი და ცხოვრება''

წლიურად 25 მან., ნახევარ წლით 15 მან. თითო ნომ-
რი—5 მან. ხელის მოწერა მიიღება: თბილისში, ბაზრის
ქ. № 20, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. თბილისი,
რედ. „თეატრი და ცხოვრება“ იოსებ იმედაშვილს.

1919 წ. № 4 კვირა, აპრილის 20 | ფასი 5 მან. | წელიწადი მეშვიდე გამოცემისა

მიიღება ხელის მოწერა 1919 წლის ჟურნალ ,,თეატრი და ცხოვრება''-ზე წლიური ფ სი 25 მან.



**კომპ .ქ. ფოცხვერაშვილი**
სახემწიფო უნივერსიტეტში ლექტორად მიწვევის გამო.



ა ლ დ გ ო მ ა (ნახატი ლადო გუდიაშვილისა)



თავისუფლებისათვის ბრძოლაში დაღუპულნი
წლის_თავის შესრულების გამო.



**ხანდრო კეცხოველი**

**გიორგი მაჩაბელი**

## სულიერი აღდგომა

დღევანდელი აღდგომისთანა ბევრი არ ახსოვს საქართველოს.

საქართველო აღსდგა და საერთაშორისო ფერხულშიც შედის როგორც მოწინავე ქვეყანა.

დედამიწის ზურგზე თუ დემოკრატიულ მიმართულებას, ხალხთა უფლების გამარჯვებასა და ხალხის ბატონობას ნიადაგი ექმნება საქართველო ერთი პირველთაგანი შეიქმნება.

საქართველომ თავისი უფლება მოსილება და დემოკრატიულ მისწრაფებათა გამარჯვების საჭიროება ხალხის უზენაესი ნების ყოფით გამოხატა, — საქართველოს დამფუძნებელ კრებით.

ეს არის პოლიტიკური მხარე.

კულტურულ ეკონომიური მხარე ჩვენი ქვეყნისა-კი ჯერ მოდუნებულია. პირველის გამარჯვებას უნდა მოჰყვეს მეორის გამარჯვება, და თუ ეს არ იქმნა, ჩვენი ერის მოწინავე თაობის უმაღლესი მისწრაფებანი უბრალო ფახი-ფუხად დარჩება. სწორედ ამიტომაც მთელი ჩვენი ძალღონე უნდა მოვანდომოთ ერის სულიერად აღდგომას და ნივთიერად გაღონიერებას, რომ სახელმწიფო უფლება შევინარჩუნოთ, შეგნებით მოვიხმაროთ.

როგორც წარსულში ხელოვნებამა და მწერლობამ გააღვიძა ჩვენი მიძინებული აზროვნება, ისევე ახლა უმთავრესად ხელოვნებამ უნდა იკისროს ჩვენის ერის სულიერი აღდგომა.

საჭიროა მხატვრობითი ლიტერატურის აღორძინება—გავრცელება და სასცენო ხელოვნების მკვიდრ ნიადაგზე დაყენება.

ქართველ ხელოვანსა და მწიგნობარს დიდი მოვალეობა აწევს კისრად: ჩვენი სამშობლოს ბევრი კუთხე მიყრუებულია, ეგრედ წოდებული ინტელიგენცია ცალმხრივად „განვითარებული.“

მისი სულიერად ამაღლება უნდა იკისროს მხატვრულმა მწერლობამ და სახიობამ. ამისათვის-კი საჭიროა ყველა ორგანიზაციამ და მთავრობამ ამ საგანს დიდი ყურადღება მიაქციოს, — საგანგებო თანხა შექმნას მხატვრული მწერლობის და სასცენო ხელოვნების სოფლებში სასურველ ნიადაგზე დასაყენებლად.

და როდესაც მთელი ჩვენი ერი სულიერად განსპეტაკდება, ჩვენი ქვეყნის ნამდვილი აღდგომაც მაშინ გათენდება!.

გაუმარჯოს ჩვენის ერის სულიერ აღდგომას!.

იოსებ იმედაშვილი



ირაკლი [კაკი] წერეთელი

## მოწოდება*)

ვით პირველ მზე ცხადს გაზაფხულისას
ვით განთიადის პირველ ტოროლას,
იმედით გულში და თანაგრძნობით
ჩვენ ვეგებებით მორიდან ბრძოლას.

დღეს პირველად ჩვენს ქვეყანაში
გაისმის სიტყვა თავისუფალი —
და პირველ ალსა, ერთხელ ანთებულს,
აწ ვერ ჩააქრობს ვერა რა ძალი.

ვინც უნდა იყვეთ, მხნე მეომარნო,
მოდით ჩვენკენ სალამი ძმური,
თქვენ დასცით ჩვენში ბრძოლის ნაღარა,
თქვენ პირველობა გხვდათ საამური!

მსოფლიო ომში, სადაც სიბნელეს
შეუდგრათ ებრძვის ძალა ნათელი,
თქვენ ჩაერიეთ, უშიშრად ძმებო,
და შეიყვარეთ რაზმი ქართველი!

ადრე თუ გვიან, ველი მისია,
და ის დარჩება ომში მძლეველად,
ვის დიად საქმეს მშრომელთა ოფლი
უდევს საფუძვლად შეურყეველად!

და იმ დღეს, როცა თავისუფლების
ქვეყნად ცხოველი მზე გაბრწყინდება,
ჩვენს მშობელ ხალხსა სისხლით ნაყიდი
სიცოცხლის სხივი დაეფინება!..

ირაკლი (კაკი) წერეთელი

*) ეს ლექსი გადმოგვცა ვასილ კირვალიძემ, რომელსაც გადმოუწერნია ქუთაისის მუშათა კლუბში მოთავსებულ კაკი წერეთლის სურათიდან. რედ.

# ქართული ოპერა

ჩვენი ოპერის მეორე დიდი ძალთაგანია დამსახურებული მუსიკოსი ზაქარია პეტრეს ძე ფალიაშვილი, რომელმაც საზოგადოებას წარუდგინა სრული ქართული ეროვნული ოპერა ,,აბესალომ და ეთერი''; გაიმარჯვა და საყოველთაო ყურადღებაც დაიმსახურა: მთავრობამ დააჯილდოვა გერბით, ათასი თუმნით, ხოლო სახელმწიფო თეატრი მის ოპერას ხშირად სდგავს, რასაც მუდამ აღტაცებული საზოგადოება ესწრება.

ზ. ფალიაშვილი ქართველი კათოლიკეა, დაიბ. ქ. ქუთაისს. პატარობიდანვე მშობლებთან ერთად ხშირად დაიარებოდა კათოლიკეთა ეკლესიაში, სადაც ისმენდა მუსიკას—ორღანზე დაკვრას და ამ დროიდან ჩაენერგა მუსიკის სიყვარული. 18 წლამდე ქუთაისის კათოლიკეთა ეკლესიაში გალობდა, 1887 წ. ძმასთან ერთად თბილისს გადმოვიდა კათოლიკეთა ეკლესიაში ორღანოზე დამკვრელის (თავის ძმის) თანაშემწედ. აქ მალე ორღანისტად იქმნა მიწვეული. ამავე დროს მიებარა თბილ. სამუსიკო სასწავლებელში სპეციალურ თეორიის და თითბრის ინსტრუმენტების კლასში, რაიც 1898 წ. დაამთავრა. 1900 წ. თბილ. სათაზნ. საკრებულომ სტიპენდია დაუნიშნა. უმაღლესი სამუსიკო სწავლის მისაღებათ ამავე 1900 წ. მოსკოვის კონსერვატორიაში შევიდა საცა სწავლობდა ცნობილ თეორეტიკოსის კომპ. ს. ტანეევის ხელმძღვანელობით.

1903 წ. დაასრ. სპეციალურ კომპოზიციის კურსი. დაბრუნდა თბილისს და მასწავლებლობას შეუდგა სათ.-აზ. ქალთა და ვაჟთა გიმნაზიებში. ამავე დროს ასწავლიდა თბილ. სამუსიკო სასწავლებელში მუსიკის თეორიას. ქართ. ფილარმონიულ საზოგადოების დაფუძნებისთანავე მიწვეულ იქმნა ამ საზ-ის სკოლის გამგე-დირექტორად. 15 წლის განმავლობაში რავდენჯერმე მოიარა მთელი ჩვენი სამშობლოს ყოველი კუთხე, დაუკვირდა ხალხურ ჰანგებს და მრავალი ხალხური სიმღერა გადიღო ფონოგრაფით. 1919 წ. აპრილის 12 თბ. კონსერვატორიის საბჭომ იგი პროფესორად აირჩია. ამ ჟამად ირიცხება თბილ. კონსერვატორიის ინსპექტორად. ზ. ფალიაშვილმა ოპერა „აბესალომ-ეთერის'' გარდა დასწერა წირვა, კანტატა, ნანა და სხვა და სხვა სიმღერები. მისი რავდენიმე სამუსიკო ნაშრომი გამოცემულია. როგორც ქართულ ხალხურ ჰანგების ზედმიწევნით მცნობი ზაქარია ფალიაშვილი ჩვენს ხალხურ მუსიკას დიდათ აფასებს. თვის ავტობიოგრაფიით გვამცნობს: ,,ჩემი თავი და თავი მიზანი ღ მისწრაფება ყოველ ჩემს მუშაობაში ყოფილი და მუდამაც იქნება, რომ ქართული ჰანგების ,,ჰარმონიზატორმა' თუ შემთხზველმა არასგზით უნდა უღალატოს იმ პრინციპს, რომელიც თავდაპირველ განძს წარმოადგენს ხალხურ ჰანგების დამუშავება ანუ შეთხზვაში. ეს პრინციპი გახლავთ, მთლიანად და სუფთად ქართულ კოლორიტისა ამომნაცენ თვით ხალხის გულიდან. რასაკვირ. ეს ყველაფერი ევროპიულ ანუ უკეთა ვსთქვათ მსოფლიო მუსიკალურ ფორმებში ჩამოყალიბებული და მისივე მუსიკალურ კანონებზე დამყარებული ტეხნიკურად შემუშავებული უნდა იყოს. მე ამ პრინციპის მომხრე ვარ და მუამაც ვიქნები, რადგანაც ეს ერთად-ერთი გზა არის, რომელსაც შეუძლიან მუსიკალური ხელოვნება ჩვენში ააყვაოს და განვითარება მისცეს.



კომპოზიტორი ზაქარია პეტრესძე ფალიაშვილი

ზ. ფალიაშვილი ჯერ კიდევ ახალგაზდაა, ჯანღონით სავსე და მომზადებული, რომელსაც შეუძლიან სამუსიკო ნაწილში ბევრი რამ შეჰქმნას. ვუსურვოთ დღეგრძელობა და წარმატება.

იოსებ არიმათიელი

*
* *

ტყის პირას იდაყვზე დაყრდნობით მწოლარე
დუმილით გავსცქერი მდუმარე ცას.
ჩ უცვამს ღრუბლების სპეტაკი ოლარი
ჩემს გასწვრივ ამართულ ბუმბერაზ მთას.

უტეხი მზერით მე თვალები მოვავლე.
რა ვუყო? გადვისვრი, მოდი, ამ ქვას...
სამი ხე ბებერი, სამი ხე მაღალი
შუაგულ მინდორში უძრავად სდგას.

ვინა ვარ? სადა ვარ? ტყე უკან.. წინ ველი...
შორიდან მდინარე ძლივს მაწვდის ხმას.
ხანდახან ფოთლებში შეკრთება ფრინველი,
ხანდახან ნიავი შემირხევს თმას...

აი მე დავხუჭე დაღლილი თვალები,
წყვდიადი გიშრისა მოზღვავდა გარს;
შავ სივრცეს სერავენ ყვითელი რკალები,
ნელნელა აღებენ უფსკრულის კარს.

სადა ვარ ეხლა მე? სად ვიყავ წეღანა?
აგერ აქ ვინა წევს, მე ვარ თუ სხვა?..
არსებობს სამყარო.., არსებობს ქვეყანა...
არსებობს ბნელეთის უძირო ზღვა...

კ. ჭიჭინაძე

# განახლებული სიცოცხლე.

რ ო მ ა ნ ი

ქართველ-სომეხთა ომიდან

[ლ. გუდიაშვილის ნახატებით]

(გაგრძელება. იხ. თ. და ც. № 3)

## წარსულის ლანდები და ვერაგთა ქსელები

—აი, ვაცხონე მამა შენი!—უთხრა ერთმა ჯარის კაცთაგანმა რიხიანად და დალაგებით მოლაპარაკეს: შენი სიტყვა ვის მობეზრდება!.. შენ ბრძანე: დღე ბნელი, ღამე—გრძელი, შეშა თავსაყრელი... ბიჭო მოიტა კიდევ შეუკეთე და მუგუზლებიც შეაჩიჩხილე...

—ჰო და,—განაგრძო პირველმა მოლაპარაკე ათისთავმა ჯარისკაცმა: ამბობენ და ისტორიაშიაც სწერია, რომ ჩვენ ქართველები მ.მა-პაპით მუდამ ისე დაჩიავებულნი-კი არა ვყოფილვართ, როგორც რუსების ხელში,—რევოლიუციამდე... ჩვენცა გვყოლია საკუთარი მეფე, ჯარი და გვქონია თავისებური მართვა-გამგეობა... გვყოლია მხნე მებრძოლი მეფე ვახტანგ გორგასლიანი, რომელმაც ქ. თბილისი დააფუძნა და მრავალი ეკლესია-ტაძარი ააშენა, უმეტესად აი აქ, სამხრეთ საქართველოში, დღეს რომ ბორჩალოს მაზრას ეძახიან... და ეს მეფე, ქალაქთა დამაარსებელი და ციხე-კოშკ-მონასტერთა ამშენებელი იმ დროსა გვყოლია, როცა რუსები ჯერ მოგონილი არც-კი ყოფილან... მას შემდეგ გვყოლია კიდევ ბევრი სხვა დიდი მეფე, სარდალი, კანონმდებელი... მაგრამ ი კურთხეული დავით აღმაშენებელი რო ყოფილა და თამარ მეფე,—ქალი, ბიჭები, ქალი მეფედ!—ამათ-კი ვერვინ შასდარება... ჰო და დავით აღმაშენებელმა რომ ჩვენი დაქცეული სამშობლო ააშენა, თამარ მეფემ გუმბათი დაადგა,—დააგვირგვინა და უფრო გააძლიერა...

—მა რა, ასეა შვილოსან, როცა მშრომელსა და გამრჯე მშობლებს მუყაითი, ყაირათიანი მემკვიდრე გაუჩნდება: ჰაი, ჰაი, რო მამა-პაპათა ქონებას უფრო მოუმატებს...



—ამბობენ, დავით აღმაშენებელმა არა თუ ჩვენი სამშობლოს საზღვრები გააფართოვა, სომხების დედა ქალაქი—ანიქალაქიც-კი მტრებს გამოსტაცა და ისევე სომხებს გადაულოცა. თამარ მეფემ ისე მაღლა ასწია ჩვენი სამშობლოს დროშა, რომ ხმა მისი ენგიდუნიასა სძრავდა...

—აი განათლდეს მისი სული!. ჩაურთო ერთმა

—უშენოთაც ნათელი ადგას,—მოუჭრა მეორემ და მერე მოლაპარაკეს გასძახა: შენ შენი ბრძანე, ძაფი არ გაგიწყდეს!..

—ი თამარ მეფე სულმნათსა ჯარის უფროსად ჰყოლია სომეხი ზაქარია მხარგრძელი-არღუთაშვილი ძაან ერთგული ყოფილა საქართველოსი და თამარს ებრძანა: რაკი შენ ეგეთი ერთგული ხარ ჩემი და საქართველოსიო, ემენდა სანაინი და ახპატი შენთვის მიჩუქებიაო... ის მონასტრები ვახტანგ გორგასლანმა რომ ააშენა,—იცით როდის: 1500 წლის წინად. . ი კურთხეული ზაქარია მხარგძელიც, თუმცა სომეხი ყოფილა, დღევანდელ სომხებს კი არა ჰგვანებია...

—აი გაწყდეს ამათი ჯიში, რომ არ მოისვენებენ და არც სხვას მოასვენებენ... წამოიძახა ვიღაცამ.

—ეჰ, შენცა!.. განა ეგენი მოისვენებენ!—ჩაურთო მეორემ.

—ჰო.და,—განაგრძო პირველმავე: საქართველოს იგეთი მოყვარული ყოფილა ი ზაქარია მხარგრძელი, რომ საქართველოს მტრები საკუთარის მარჯვენით უპენტია... ეჰ, რომ აღარ არის ძველებური არც გმირობა, არც ნამუსი, არც სიტყვა!..

—ეგა თქვი და!.. ერთი ეგეც გეცოდინება: რის ბრალია, რომ ე სომხები არც გვეცლებიან და არც გვეთვისებიან!

—ე მაგას გრძელი ამბავი აქვს... ჰყოლიათ ერთი პატრიაქი, აი კათალიკოსი აბრაამი. ათას ოთხასი წლის წინად, როცა მღვდლებს ჩხუბი მოსვლიათ, რომელი სჯული სჯობიაო, სომეხები ცალკე გასულან, გრიგორის სჯული მიუღიათ... ამ სომეხთა პატრიარქს დაუწყევლია ჩვენი კათალიკოსი, საქართველო, ჩვენი ხალხი და ის სომეხი, რომელიც ქართველებთან რაიმე კავშირს იქონიებდა ვაჭრობის გარდა.

—ჯან ბიჭო! აკ იმიტომაც მარტო ჩარჩ-ვაჭრები რიან ყველაფერში: ძმობა-ერთობაში თუ სიყვარულსა და მტრობაში...

—თუ აგრეა მა რაღას გვედავებიან?..

—რასა და იმასა... პატარა ქვეყანა გვაქვსო, გვაკლია, თბილისი ჩვენი უნდა იყოსო,..

—ებეი! მაშ ვისაც რა დააკლდეს, საწყალ საქართველოს უნდა ჩამოეკიდოს ყელზე—გეთაყვა შემინახეო ეგ სადაურია?..

—გვედავებიან და ბევრ რამეს-კი წაიღებენ.. ჯერ შვილოსან საქმე სამართლით უნდა გათავდეს. ვსთქვათ-ორი ძმა ვართ. ვიყრებით, რაღას ვჩხუბობთ? თუ მოვრიგდით ხო რა კარგი, თუ არა და-ერთ-ორ პატიოსან კაცს ვეღარ მოვნახავთ რო მოგვარიგოს?—

—არ მოგვრიგდებიან და—ყურებზე ხახვი არ დაგვაჭრან...

—ახლა ნურც აგრე გაჰქელავთ ფეხქვეშა: წელან

არა ნახე კომისარმა ღვინო მოგვართვა: მიირთვით თქვენი ჭირიმე, ქართველი და სომეხი ვის გაუყვიათ..

—შენ თუ მე მკითხავ, ძმაო, სოძხისა არც საჩუქარი მინდა, არც შოსაკითხი,—არ გაგიგონიათ: მოდა სომეხი მოიტანა სხვა მეხიო... შენ შეშა შეაყარე, თორემ ე ყინვამ ლამის არის გვერდები გამიფიჩხოს... დაჰწყევლა რა ნაირად ჰყინავს?

—მთა-გორიანი ადგილებია და ეს ოხერა...

—ჰაი დედასა წუთისოფელი თურმე მართლა ჩარხი ყოფილა: როგო ტრიალებს. აბა, ვინ იფიქრებდა, რომ ჩვენს მამა-პაპათა მიწა-წყალს ისევ მოვძებნიდით.

—ნაგუბარში ჩადექ წყალოო... არ გაგიგონიათ?

ეს ბიჭები რომ აქ ასე მუსაიფობდენ, სადარაჯოს ცოტა მოშორებით მოდარაჯე რაზმის უფროსის წინაშე იდგა სოფელ №—რის კომისარი და, ცოტა არ იყოს, ლაშ-მოშვებით ელაპარკებოდა ოფიცერს:

—კნიაზის მზემ, თქვენი მისვლა და ქალიანთ გაბედნიერება ერთი იქნება. თუ მოეწონოს, ჯვარიც დაიწერე, არა და-ერთი ღამით რა წაუხდება,—ქალბატონი ქალიაო,—დააწვენ... ადგება, ჩაიცვამს და ისევ ქალიაო... კნიაზის მზემ, თქვენზე გამიგონია—ქალები უყვარსო... მერე რა ქალია: იჰფ, იჰფ!.. ამდენი ხანია ჩვენს ქვეყანაში სდგეხართ. ჩვენთვის თავს იწუხებთ და განა ცოდვა იქნება, რომ თქვენი პატივისცემა გადავიხადოთ!. ამასაც გითხრამ: თუ ჯვარს დაიწერ ფულს ტომრით ჩაითვლი, ტომრით, ჰაა!

ასეთი მიპატიჟება ყმაწვილ კაცს, ცოტა არ იყოს, ხიბლავდა, უცებ გუნებაშიაც გაივლო: „მართლა და თუ არ მომეწონა თავს გავანებებ, ან ერთი ღამით რა გამოსცვდებაო''... მაგრამ ეს ფიქრი მალე გულიდამ გადაიყარა და კომისარს ეჭვის თვალით ვადახედა:

—იქნება მატყუებ?!.



—ვაიმე, ვაიმე!.. აი, მოკვდეს ჩემი სიყმე.—უთხრა კომისარმა ვითომდა დიდის სინანულით, ყბაში ხელი გაირტყა და განაგრძო: ვა, შენ რომ ქალთან დროება გატართ მე რა დამაკლდება თუ არა მომემატება-რა!

—მართალია, ჩემო მეგობარო, მე ქალები მიყვარს, მაგრამ არა ასეთ დროსა და ასეთ პირობებში: მიუგო ახალგაზრდა მხედარმა თავისქნევით მცირე დუმილის შემდეგ: გარეშემო მგლები გვახვევიან და განა აქ ქალებზე შეიძლება ლაპარაკი.

—აი მგელმა შეჭამოს, ვინც მგლობას გიწევთ..

—შენ მხოლოდ შენი სამსახური აასრულე პირნათლად და სხვა ჯავრი ნუ გაქვს. ღვინის მოტანისა და ცხვრის მოყვანისთვის გმადლობთ. აჰა, ფული წაიღე.. თვალყური ადევნე, ფხიზლად იყავ, სოფელში თუ რაიმე ჩუჩუნი იყოს მთავრობის წინაალმდეგ, დროით მაცნობე. იცოდე, თოფი არავინ გაისროლოს.. თუ ერთი თოფიც გარის ვინმემ გაისროლა, დაუსჯელი არ დამრჩება...

—მაშ არ გვიკადრებ და არ გვეწვევი რაღა? კიდევ შეეკითხა კომისარი და რაკი დარაჯთ უფროსმა თავის ქანევით ანიშნა— ,,არაო'',—გავიდა.

—,.ეს დაწყევლილი როგორი ქართველია: ღვინო მოვართვი, ცხვარი მოვართვი, ქალები შევპირდი, კიდევ უკან დგას... ვერ იქმნა ერთი ხაფანგში ვერ გავაბი, რომ საუკუნოდ ,,ქე'ტი'' მიგვება... ამ წინაზე, როგორც იქმნა, ქართველ ჯარისკაცებს ცხვარი ძალად დავაჭერინეთ, გვინდოდა ხალხს მიზეზად აეღო, მაგრამ ვერ მოხერხდა: ქართველმა კომანდირმა ხელად ერთი ორად ფული გადაიხადა... ახ, თუ ერთი სოფელში შემოვიტყუილებდი და ქალიანთა შევიყვანდი, გაგიხარიან მახეში გავაბამდი... ხალხიც აღსდგებოდა, მთელ სოფლებს აჯანყების ალი მოედებოდა...''

ასეთ ფიქრებ-მოჯარებული კომისარი სოფელში შევიდა.

გლეხის ვახშმობა გადასული იყო. სოფელი თუმცა თოვლს დაეფარნა, მაგრამ აქა-ის სახლის კედლები მაინც შავად მოსჩანდა, ზოგან ბოლი ამოდიოდა, ზოგი სახლიდან სინათლეც გამოჰკიათობდა. კომისარი მივიდა თვის სახლში და ის-ის იყო დასაწოლად ემზადებოდა, რომ მილიციონერმა კარი შემოაღო:

—ბატონო კომისარო, აი ეს ორი კაცი გკითხულობთ.—მოახსენა და ამავე დროს წარუდგინა ორი კაცი.

—რას მიბრძანებთ?—შეეკითხა კომისარი ახალმოსულთ.

ახალმოსულთაგანმა ერთმა, სომხის იერის კაცმა, მილიციონერს გადაჰკრა თვალი, რითაც კომისარს აცნობა: დაითხოვეო.

—ჰაგო, მეორე ოთახში მომიცადე.

მილიციონერი გავიდა. ახალმოსულმა სომეხმა გადასცა თვისი ვინაობის მოწმობა. კომისარმა ბარათი წაიკითხა თუ არა, თავაზიანად ხელი გაუწოდა და მასთან უთხრა:

—გთხოვთ დაბრძანდეთ...

—აი, ესეც ტიგრანას წერილი,—უთხრა ახალმოსულმა და პაკეტით წერილი გადასცა.

კომისარმა წერილი ჩაათვალიერა, წერილის კითვხის დროს ერთ ადგილას შუბლი შეიკრა, თითქმო აზრის გაგება უძნელდებაო, მერე თითქმის ხმამაღლა ჩაიკითხა: ჩვენის მიზნების მისაღწევად თუ გინდ ქაჯასაც შეეკარით პი ობით... რა ხერხიც გინდა იხმარე, ოღონდ ხალხი ააჩოჩქოლე, ქართველი სადარაჯო რაზმები დაირეკ... დადგა წამი სომხეთის აღდგენისა და მის მტერთა შემუსვრისა... დანარჩენ რჩევას ამ წერილის მომტანნი გოგცემენ... არც ერთი წამი არ დააყოვნო, ყოველი შეგვიანებული წუთი საუკუნით უკან გვწევს!!

ჰმ, მესმის!.. ჩაილაპარაკა კომისარმა, მცირე ხანს საგონებელს მიეცა, მერე უცებ მილიციონერს გასძახა:

—ჰაგო, ჰაგო.—აბა, ხელად დაურბინე ჩვენს მოწინავეებს,—ღამ-ღამე რომ ვეძახი ხოლმე... მაგრამ სულ ერთია, ვინც უნდა შეგხვდეს, დაფარვის დრო აღარ არის, ყველას გამოუცხადე, ახლავე კანცელარიაში გამოცხადდენ... ზარიც ჩამორეკე, შერეული ზარი, როგორც ცეცხლის გაჩენის დროს იციან ხოლმე,—უბრძანა და მერე ახალმოსულთ მიუბრუნდა: თქვენ დაღლილი იქნებით, პურიც გშიებათ...

—ჯერ საქმე... საქმე საშურია!—მიუგო ერთმა მათგანმა.

მაგრამ კომისარმა პასუხს აღარ მოუცადა, ხელად პატარა ტაბაკით პური, ყველი, კირკაჟი, წნილი და არაყი მოართვა:

—ჯერ ეს იყოს და მერე ვახშამი იქნება...

რაც ქართველ-სომეხთა ურთიერთობა გამწვავდა, საქართველოს სომეხთა სანაპირო სოფლები ისე იყვნენ ძარღვებ-დაძაგრულნი, ერთი ნაპერწკალი იყო საჭირო, რომ ყველა თოფის წამალივით აფეთქებულიყო... სოფელი ასე დაძაგრა განსაკუთრებით დაშნაკელთა აგიტაციამ საქართველოს წინააღმდეგ.

ზარის ხმამ მთელი სოფელი შესძრა.

—რა ამბავია, კომისარო, ე შუაღამისა რო შეგვყარე.

—ცეცხლი ხომ არსად გაჩნდა?..

—ვინ იწვება?

—მტერი ხომ არ დაგვეცა?

ჩოჩქოლებდა ხალხი.

—მტერზე უარესი... ცეცხლზე უფრო ძლიერი.



ზეცა გვენგრევა თავზე, ზეცა!.. მოყვარე მტერი ორგული მტერზედაც უარესიაო, ხომ გაგიგონიათ..., ხალხო, ჯამაათო თქვენმა სამსახურის ინტერესებმა მომაწვევინეს ეს კრება... ასეთი საზარლობა სომეხ-ქართველთა ერს ჯერ არ ახსოვს... პატიოსანი ხალხი ბრძანდებით, მეოჯახე, ნამუსის პატრონი და რასაც თქვენ გადასწყვეტავთ, ის უნდა აღვასრულო... აი რაშია საქმე. ზღაპრად ხომ გაგიგონიათ, ერთი გველეშაპი რო ჩაუსაფრდა სოფელს და ყოველდღე თითო ქალს თხოულობდა ხარკად. სწორედ ასეა ჩვენი სოფლის ბედი... ვიღაც ბოკერია თუ ოხერია, აიგერა ხიდის დარაჯთა უფროსი ოფიცერი რომ არის.., ახლაც იქიდან მოვდივარ: ღვინოს რომ დამალევინებთ ქალებიც მომინდება ხოლმე, უეჭველოდ უმანკო ქალებიო. თუ გინდა ახალგაზდა პატარძლებიო... ტერტერას ქალსაც არა უშავსო... დიაღ, ხალხო, თქვენ სამართლიანად ჰღელავთ და იმდურებით... ქართველები ჩვენი მეგობრები არა ყოფილან, არა და არა. როგორ, ვიღაც მაწანწალას ქალი ანუ ცოლი მივცე?—აბა, ხალხო და ჯამაათო, ვინ არის მომხრე, რომ თვისი გულის საყვარელი-ცოლი, გინდ ქალი მომგვაროს: აჰანდე, წაიყვანე და სალდათს ჩაუგორეო... არ შეიძლება განა! ისინი კი ახლავე თხოულობენ, არა უგვიანეს მამლის ყივილისა...

- მამლის ყივილისას ჩვენი სანგრები გავამაგროთ და დღეიდანვე ტყვიები გაუგზავნოთ დესპანად.—მოისმა.

—ცეცხლი და ნავთი, ვაი და ვუი ჩვენის ოჯახების შემარცხვენელთ?

—როგორ, განა იმიტომ გაჩერდენ ამ გზის დარაჯად და იმიტომ შემოიმიჯნენ, რომ თავს ლაფი დაგვასხან?.

—გავწყვიტოთ, გავწყვიტოთ...

—ეგ არის, ეგა.—

ცხარობდენ და ხმაურობდენ.

—მოითმინეთ ჯამაათო,—ჩაერია ერთი შუახნის კაცი: რო იძახით გავწყვიტოთო, იცით ამას რა მოჰყვება?—ერთმა სულელმა რომ ჭაში ქვა ჩააგდო და ასმა ბრძენმა ვეღარ ამოიღო. ამდენი საუკუნის მეზობლობა ხომ დაირღვა და ჭრილობა ვეღარ გამთელდა. ესეც ხომ იცით ერთმა ტალახიანმა ღორმა ასი გაატალახიანა,—ერთმა სულელმა ჯარისკაცმა რომ სიტყვა წამოროშოს, მთელი ერი პასუხისმგებელი რათ უნდა გავხადოთ?

—შენს ტვინს ისეთი ობი მოჰკიდებია, რომ ამას ვერ გაიგებ,—ჩაურთო ვიღაცამ.

—თვით ის ერიც უნდა გაწყდეს, ვისაც მაგისთანა ჯარისკაცი ჰყავს დარაჯად,—წამოიძახა კომისარმა: აი, მე თუმცა საქართველოს სახელმწიფოს სამსახურში ვარ, მაგრამ როგორ შემიძლიან თქვენ გიღალატოთ და თქვენი ოჯახის შერცხვენა ვისმე დავუთმო? ჯამაათო, რას იტყვით· მაშ ისევ ქალები გავუგზავნოთ, როგორც ეს ჩვენი ბიძა ავაქა გვირჩევს?

—უწინამც დღე დაგველევა! მაგას ისა სჯობია თვითონ ავაქა გავგზავნოთ დამარილებული.

—ბევრი ლაპარაკი საჭირო აღარ არის, იარაღს ხელი!..

—წყევა და კრულვა ვინც ოჯახის შერცხვენა აპატიოს ღვიტიკელა-ტეტიებს!

—გავიდეთ და კუდით ქვა ვასროლინოთ მაგ ღომიჭამია-მქადაგებლებს...

—დავიცვათ და დავიფაროთ ჩვენი კარმიდამო..

—თბილისიდანაც გავრეკოთ!..

—თბილისის მარჯვენა ჩვენა.—მარცხენა იმათ, არ ეყოფათ?!

—არც ერთი ქართველი აღარ ვაბოგინოთ თბილისში...

ქოთქოთებდა ხალხი... კომისარის მოხერხებულმა ოინმა, რომ ვითომც საქართველოს სანაპიროს მცველი რაზმელები ქალებსა გვთხოვენ ნამუსის ასახდელადაო, მთელი სოფელი შეაჩოჩქოლა და მცხოვრებნი ერთმანეთს შემოახალა. კომისარმა მიზანს მიაღწია და გულში ნეტარებდა,—ასეთ ოინების მოწყობაში ძველი მთავრობის დროსავე გამოწრთვილი იყო და ახლაც გაუჭრა ერხმა.

—კარგია დაწყნარდით, დამშვიდით!—შესძახა კომისარმა რაკი ხალხი ერთი მეორეს შემოახალა და ნიადაგი მოიმზადა.—ახლა გთხოვთ მოუსმინოთ ჩვენს ამხანაგებს, რომლებიც საგანგებო დავალებით მოსულან, უთხრა და ამასთანავე ხელი მიუთითა იქვე მდგომ ახალ-მოსულებზე.

—ამხანაგებო,—მიმართა ახალმოსულმა სომეხმა, რომელსაც ინტელიგენტური იერი ჰქონდა, მაგრამ სომხურ-გლეხურად ეცვა: მე ბევრი ლაპარაკით თავს არ შეგაწუხებთ,—რო კა საქმეა, ლაპარაკი არ გამოდგება. ან და იმაზე ძლიერი რა უნდა გითხრათ, რაც თქვენმა კომისარმა გამოგიცხადათ: ქართველი ჯარის კაცები ახალგაზრდა ქალებსა და რძლებსა გთხოვენო. ეს ამბავი თურქებისაც გვეჯავრებოდა, ეხლა ვითომდა ჩვენმა ძმებმა—ქართველებმა დაიწყეს. ამას ისიც დაუმატეთ, რომ „ხასტავოები" გაგვიმართეს, გზები შეგვიკრეს, ჩვენი ქალაქ თბილისიდან სომხები გამორეკეს... ეს ჯერ ყვავილებია,—ნაყოფი სხვა იქნება.. ბოლოს ვნახავთ, რომ ჩვენს ოჯახებშიაც არ მოგვისვენონ... პურს გართმევენ, იარაღს გართმევენ.., ხომ ნახეთ სატრაპ წულუკიძის ამბები ..

—იარაღი, მე შენ გიბრძანო, რჩეული თოფები წაიღეს! რაც ჩიტის სასროლი, სანადირო ანუ ოსმალური ძველი ყაჟაღლო იყო, ის მივართვით: წაიღეს და საცა თავისი თქვას, იქ ჩვენც გვახსენოს!—წამოიძახა ერთმა გლეხმა ნიშნის მოგებით.

—მოითმინე, ამხანაგო, ვსთქვათ დღეს მოატყუე, ანუ ჩვენი იარაღის საწყობს ვერ მიაგნეს, ხვალა? ასე ცხოვრება არ გამოგვადგება: თავზე წვეტიანი გალესილი ხმალი გვეკიდოს, არკი ვიცოდეთ როდის მოსწყდება და თავზე დაგვეცემა,—განა ეს სიცოცხლეა?! ჩვენი ერი-კი დღეს ასეთ წამებაშია. ჩვენმა პარტიამ, სომხის ტკივილებისა და წყლულების ერთგულმა მკურნალმა პარტია დაშნაკციუთიუნმა გადაწყვიტა მშობელ ერს მოუაროს და გადაარჩინოს... ერის გადარჩენა-კი ბრძოლით შეიძლება, ბრძოლით ყველა მტარვალის წინაღმდეგ მისი ბატონობის დასამხობად. ამიტომ, ამხანაგებო გიცხადებთ ვისაც იარაღის ტარება შეგიძლიანთ, განსაკუთრებით 18—45 წლისანთ. სომხეთის ჯარში უნდა ჩაეწეროთ... ჩვენმა პარტიამ დანიშნა საგანგებო ინსტრუქტორები, მწრთვნელები. აი, ეს ჩვენი ამხანაგი რუსის ოფიცერი, თქვენი ერის დიდი მეგობარი, პოლკოვნიკი კ-ი. საგანგებოდ გამოგზავნა, რომ თქვენ გასწავლოთ და საომრად გაგწვრთნათ ჩაწერილები ყარაქლისა და ერევანში მოგროვდებით, იქ, სადაც სომხეთის ერთგული შვილები ქვეყნის ყველა კუთხიდან თავს იყრიან.. ამ წლოვანების შემდეგ, ვისაც იარაღის ტარება შეუძლიან, აქ უნდა გამაგრდეს. შესაფერ დარიგებას ჩვენი ამხანაგი კომისარი მოგცემთ...

ამ განცხადებამ ბევრს უსიამოვნო ჟრუანტელივით დაუარა, მაგრამ მაინც საერთო ფერხულს ვერავინ გამორჩა; თუმცა უკმაყოფილოდ, მაინც გარეგანის რიხით კომისართან ეწერებოდენ წლოვანობისა და ნამსახურობის ჩვენებით.. ინსტრუქტორის რჩევით ჩაწერილთაგან შესაფერი რაზმები შეადგინეს, ჯარში ნამსახურთაგან უფროსები მიუჩინეს და თითოეულს ჩაწერილთაგანს დააკისრეს, სამის დღის სა ზალი შემოერტყა წელზე...

სოფელი სამხედრო სულით სუნთქავდა...

სომეხთა სოფელი გაალმასებული აკაპუნებდა კბილებს. ამ დროს საქართველოს საზღვრის მცველი რაზმი სამშობლოს წარსული დიდების მოგონებათა ფიქრებში იყო გართული და მეზობელთა ვერაგული გამოსვლებით აღშფოთებული მწვავე გრძნობებს განიცდიდა.

[გაგრძელება შემდეგ ნომერში იქნება]

## ᲐᲦᲓᲒᲝᲛᲐ ᲒᲕᲘᲮᲐᲠᲘᲐᲜᲝ!

ცით გადმოჰშვა ნათელი,
მნათობი ცეცხლის ალებით,
სვეტი-ცხოველსა გვირგვინი
დაადგა ოქროს რკალებით.
გმირნი საფლავში შეინძრენ,
აღსდგენ დაფ-დაფის გრიალით,
მის დიდებასა იცავენ
კვლავ ბრძოლით, ხლმისა ტრიალით.
იალბუზს დროშა ამართეს,
მსოფლიოს გად ჰყურებსა,
ბრწყინავს მზის სხივით მოსილი,
ამკობს მამულის შვილებსა.
სამშობლო ედემ-სადარო,
სავანე ქართლოსიანო
მოვედით შენდა დიდებად,
აღდგომა გვიხარიანო!..

მუშა მიხ. დევაძე



ცნობილი მეჭიანურე სანდრო



**იაკობ ფიშბერგი**

სერიპკაზე დამკვრელი—ვირტოუზი, თავისუფალი ხელოვანი, კროფ. აუერის ერთი საუკეთესო მოწაფეთგანი; მასწავლებლობს თბილისში, 1914წლიდან შექმნა საკუთარი სკოლა; მისი. ერთი მოწაფეთგანია ნიჭიერი ბავშვი ფიმა ფიდელმანი.

## სურათები

გაზაფხულის დილით გნახე,
ყელს გიმკობდა ყვავილთ მძივი,
თმის შავ კულულს გიღებავდა
გიფარცხინდა მზის სხივი..
აღორცებულ გულმკერდზე
სით მორცხვად თამაშობდა,
გიკოცნიდა ბროლის ძუძუთ
და უწყვეტლივ აშფოთდა. .
და ხარობდა ის ბედნარი,
ამაყობდა მხოლოდ შენი,
ტრფობის მოფენ ქარის გითხზავდა,
გადიდებდა ბედო ენით. .
ერთხელ შამბეულს თვალი მოჰკრა
ზღვაში ტანს რომ ბანაობდი,
აქოჩრებულ ცელქ ტალღებზე
დაჰფრენდი და ქანაობდი..
ზღვა თვრებოდა შენის ეშხით,
ზღვა სულ შენზე დუდუნებდა,
აგორებდა თეთრ თეთრ ტალღებს
და თეთრ გულზე განარცხებდა.
შენ კი ისევ გიჟ ტალღებზე
განაგრძობდი მაღლა ფრენას,
დასასრული აღარ ჰქონდა
შენს კისკისს და აღმაფრენას..

**ლ. ძიძიგური**

## გული ტოკავს

გული ტოკავს... ჩემს სიხარულს არ აქვს ბოლო, არა, არა!
რაც ვიტანჯე, ვიშავქლევე, დასასჯელად ისიც კმარა;
დღეს შევისხი მხრებსა ფრთები, ობოლ სულმა გაიხარა,
შორს, შორს ჩემგან მწუხარებავ, არ გაქვს ბინა ჩემთან, არა!

მომაკვდავი, ავადმყოფი ჩემი თავი ლომს ვადარე,
მეფეთ მეფე ვინ არს ჩემთან, თავი ზეკაცს შევადარე;
ვარდს დააჭკნობს თვალნი ჩემნი, ჩაცვივნულნი, მოელვარე,
ოხ, სადა ხარ, სიჯანმრთელევ, რომ გავიჭრა გარეთ ბარე..

ათას წლობით არსებობდა კურთხეული ჩვენი ერი,
გვემა-ტანჯვა ბევრი განვლო, და გვჩაგვრავდა ვერაგ მტერი!
მაგრამ ბევრჯერ ქართველთ, ტომი იყო მორჭმით და ძლიერი,
ვით ლომის წინ მსხვერპლი მისი, შიშით ძრწოდა ივერთ მტერი!

დღეს ბრძოლაა და ამ ბრძოლით იამაყებს მომავალი,
ჩემს სამშობლოს, ედემის მსგავსს, შემორტყმია მტრისა რკალი;
იალბუზი და ყაზბეგი იწვის, ასდის ცეცხლის ალი,
და იმ ცეცხლში ოქროს ტახტი იჭედება კვლავ ახალი.

საქართველო დავაუკაცდა, დღეს ჯვარს იწერს, ქორწილია,—
ხშირადა აქვს ლხინსა ნაკლი, მაგრამ მაინც ქორწილია;
კვლავ მსოფლიო ერთა შორის ჩემს სამშობლოს აქვს წილია,
რომ არ ძალმიძს იქ დავესწრო, ალი ამდის გულსმწველია!

კვლავ შევისხი მუზის ფრთები, უჩინარი საოცნებო,
გავეშურე ზეიმისკენ, კრება ვნახე საგანგებო;
მაყრებით არს გაჭედილი თეთრ-დარბაზი, სანაქებო.
გაიგეთ, რომ აღსდგა ერი,—ჩვენი ერი. სხვა ქვეყნებო!

ცეცხლში იშვა ამირანი, მასვე ათბობს ცეცხლის ალი,
გულს უკაჟებს უსაძლდევებს გმირებს სამშობლოს ტრფიალი;
ვერა, ვერა, ვეღარ დასძლევს საქართველოს მტრისა რკალი,
გული ტოკავს, მრწამს გვექნება ბედნიერი მომავალი!

**ვარლამ ჩლაიძე**



**მგოსანი ქალი მარიჯან**

სურათი გადაღებულია მოწყალების დათ რომ იყო ახალციხის ფრონტზე.



**ვასო აბაშიძე** (ძველი შარჟიდან)

—ჰმ!.. რაო? ახალ ქართულ თეატრს მიშენებენ?! აშენებულიდან გამომაგდეს ასაშენებელში შემიშვებენ?! ეჰ, მახლას!



ნოე ნიკოლოზის ძე ჟორდანია

საქართველოს მთავრობისა და რესპუბლიკის თავმჯდომარე თავისი ბავშვებით [ქალ-ვაჟით]. ერთი მათგანი-ერთად-ერთი ვაჟიშვილი-ანდრეიკა მიმდინარე თვეში გარდაიცვალა მენინგიტით, რამაც საერთო მწუხარება გამოიწვია. ბავშვი სულ 12-13 წ. იყო და ახლავე დიდს ნიჭს იჩენდა. მთელმა საქართველომ გაიზიარა ჩვენი ძვირფასი ბელადის მწუხარება დიდი თანაგრძნობა გამოუცხადეს უცხო სახელმწიფოთ წარმომადგენლებმაც.—ვუსურვებთ ჩვენს სიამაყეს ნოეს ეს დანაკლისი სუგრძელობით გარდაეტანოს ჩვენის ერის საბედნიეროდ



პოეტი გალაკტიონ ტაბიძე

# მამა

ყურძნის მტევნებით შემკულ თალარში
ერთად ვიყავით ერთ სავარძელზე,
შენი შვილი კი დახტოდა კარში
და ყვავილს ჰკრებდა ყვავილთა ველზე.

ველოდდით შენს ქმარს. ის კი არ სჩანდა.
შენ მოგეწყინა. მეც მოვიწყინე.
ბოლოს მითხარი. „სთქვი ლექსი, ან-და
ომის შესახებ მიამბე რამე!“

მე გიამბობდი ლექსებს უცნაურს,
ბრძოლისა ლექსებს, ლექსებს გმირულსა:
ვაებას, ტყებას, ცრემლს, აურზაურს
და სისხლის წვიმებს კოკისპირულსა:

ამ დროს მოვარდა შენი ბალანა
შემოგვიტანა ყვავილთ კრებული..
შენ ამოგლიჯე ვარდი ლალანა
და მე კი—ია აკოკრებული.

და აი ქმარიც... ძლივს... ახლოვდება..
მოგვესალმა... მოგვეთამამა...
ხოლო ბავშვი კი წინ მიეგება
და მიაძახა ალერსით: ,,მამა!‘‘

შენ შემომხედე ჩუმის მორცხვობით,
მეც შემოგხედე კდემშენართავი
და ერთის ფიქრით, და ერთის გრძნობით
ძირს ჩავღუნეთ ორივემ თავი.

ი. გრიშაშვილი

## ღრუბლები ოქროს ამურებით

ღრუბლები ოქროს ამურებით
დასახლებული,
ვეზუვის ფერფლი!
თვალი იკარგება სივრცეთა უნაზეს
გრადაციებში,
უფრო უნაზეს ვინემ stiaciato
ფლორენციაში,
სადაც უძველეს ხელოვნების
ყველა ფერებში
ფეთქს ნაპერწკლები
ნახატი ვაზების,
სასანთლეების,
საცეცხლურების და კანკელების.
ამ სალამოში განისვენებს
მშვიდი სინათლე
სავსე უდიდეს მწუხარებით
და სიყვარულით.
ამ წიგნის ფურცლებში
დაჰქრის მისი
სასახლის ლანდი.
და,
საქართველო!
შენ მოვალე ხარ რომ ნატრობდე
ჩემს მეგობრობას
უფრო მხურვალედ —
ვინემ მე შენსას!

გალაკტიონ ტაბიძე

## ცოტა რამ ხელოვნებაზე

[დასასრული. იხ. „თ. და ც." № 3]

საკმაო დრო გავიდა მის შემდგომ, რაც ჩვენში თავი იჩინა ასეთმა კულტურულმა მოძრაობამ, მაგრამ ჯერ კიდევ ქართული ხელოვნების შესწავლა არ გასცილებია ბოტანიზაციის პერიოდს. სამწუხაროდ აქვე აღსანიშნავია რომ, გარდა რამოდენიმე პირისა, ჩვენ არ გვყავს შესაფერისად მომზადებული პირები ამ ფრიად საჭირო და საპასუხისმგებლო საქმისათვის. ჯერ კიდევ დროა, საქმის გამოსწორება კიდევ შესაძლებელია, თუ საზოგადოება მიატოვებს გულგრილობას, და ხელს შეუწყობს ამ საქმის განვითარებას. მისცემს მას საზოგადო და ეროვნულ ხასიათს. წარსულის მწარე გაკვეთილები ცხადათ გვიჩვენებენ, რომ ყოველი მცირე დაგვიანება, როგორც საჭირო მასალების შეგროვებისა, ისე მათი ჯეროვანი გამოცემისა, ხელს უწყობს დიდ მნიშვნელოვან ნაშთების დაკარგვას... აქ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ამ მხრით ჩვენ ჩამოვრჩით სომხებს, რომელნიც დიდი ხანია რაც ცდილობენ გააცნონ ევროპას თავის ქვეყნის სხვა და სხვა კულტურული ნაშთები, რის გამო მათი ხელოვნების ძეგლები პოულობენ ღირსეულ დაფასებას, იმავე დროს, ჩვენივე დაუდევრობის და გულგრილობის გამო, ჩვენი ხელოვნების ნაშთებს თითქმის, სავსებით თუ არა, არ იცნობენ ევროპაში,

ეს გარემოება მით უფრო სამწუხაროა, რომ უკანასკნელ დროში საუკეთესო ბიზანტიის ხელოვნების ისტორიკოსები გრძნობენ რომ, თუ ქართული ხელოვნების ნაშთები არ იქმნა შესწავლული, მრავალი რამ საიდუმლოების სიბნელით იქნება მოცული თვით ბიზანტიის ხელოვნების ისტორიაში. აქ საკმარისია მოვიყვანოთ მაგალითად ის გარემოება, რომ უკანასკნელი საუკეთესო საზოგადო შრომებს ბიზანტიის ხელოვნების ისტორიის შესახებ, არ აქვთ შესაფერი სისრულე რის გამო ბევრი რამ პრობლემატიური რჩება. აქედან ცხად თ სჩანს, რომ ჩვენი ხელოვნების შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს ბიზანტიის ხელოვნების ისტორიისათვის; მას ეძლევა საპატიო ადგილი კაცობრიობის ხელოვნების ისტორიის შესწავლაში; კერძოთ როგორც ძველი აღმოსავლეთის ქრისტიანული კულტურის ორიგინალურ გამომხატველს. მაგრამ ჯერჯერობით, ვინაითგან მრავალი ნაშთი შეკრებილი არ არის და არც მათი ჯეროვანი მეცნიერული გამოცემები თითქმის სრულებით არ მოგვეპოება: არც სპეციალური მონოგრაფიული ლიტერატურა ჩვენში არ არის საკმაოდ განვითარებული, ამიტომ მთლიანი და სრული წარმოდგენა ქართული ხელოვნებისა, განაკუთრებით მხატვრობისა და ხუროთმოძღვრებისა, შეუძლებელია; როგორც საერთო ხასიათის შრომის გაჩენა რომელიც სპეციალურად განიხილავს ამ საგანს თანამედროვე ისტორიული მეთოდების მხრით.

ამიტომ საჭიროა ბოტანიზაციის საქმის გაძლიერება; ამ საქმის საზოგადო ხასიათის და მნიშვნელობის მიცემა; ინტელიგენციის მომხრობა ამ საპატიო და საინტერესო საქმეში; რომელიც გატაცებულია რაღაც ჰსევდო იდეალებით და გულგრილად უყურებს ასეთ მნიშვნელოვან საქმეს. გადავიტანოთ ეს საზოგადოების ფართო წრეებში და მით შესაძლებლად გავხადოთ მომავალში მაინც, ეხლა თუ არა, მშობლიური ხელოვნების მთლიანი ისტორიის აღდგენა.

**შალვა ამირანაშვილი**



ივ. გომელაური
ცნობილი მასწავ.-აღმზრდ' „ქართ. მწერლები"ს შემდგ. თბ· მაზ. ერობამ სკოლების მეთვალყურედ მოიწვია.

# უცხო მწერლები

**კატიულ მენდესი** (ფრანგულიდან)

## რად არ ვარგა ცნობისმოყვარეობა.

(ლექსი პროზად)

არ მოვისურვებდი დამენახა-რა ხდება იქ, ვარსკვლავთ გაღაღმა.

ვინ უწყის რას ჰმალვენ ისინი თავიანთ ბრწყინვალების ქვეშ?..

იქნებ მათ იქით უსაზღვრო ბნელეთია, დანგრეულ ქვეყანათა უსკრული, მკვდარ, ჩამქრალ მსოფლიოთა დუმილი?..

იქნებ ისინი ჰგვანან ნიღაბოსანთ ფანტასტიურ დომინოს, რომელ ს სახეზ დაც ბრწყინავს, ნათელი, მხიარული, აბრეშუმის ნიღაბი, და უკან კი, იმალება დალრეჯილობა?..

არ მოვისურვებდი გამეგო, თუ რა ხდება იქ, ვარსკვლავების გაღაღმა, ვინ იცის რას ჰფარავენ ისინი თავიანთ ბრწყინვალების ქვეშ?!,

ჩემო ნაზო გვრიტო, შენი თვალებიც ხომ ვარსკვლავებია, ნაზი, უმწიკვლო ვარსკვლავები, რომელშიაც ჰკრთის ცისფერი უცოდველობა, ყმაწვილურ იმედების გადაფურჩქვნა,— მაგრამ შე ძლება მათ ქვეშ, მათ განუჭვრეტელ გამჭირვალების იქით ბუდობს საოცარი სურვილი, ბოროტი ოცნება, ქეჯნა სინიდისისა.

არ მინდა, არა, ვიხილო რა ხდება იქ, ვარსკვლავთ გაღაღმა!

**ა. მაჩაბარიანი**

# ჩვენები (გაგრძელება.—იხ. „თ. და ც." № 3)

იაგ. კაკ მოჟნა, შტო ვი ღოვორიტე?!. ეს კი არა, თერთმეტი კლასი ოთხ წელიწადში გაათავა... ოქროსი და ვერცხლის მენდალი ორივე ერთად მისცეს... ერთმანეთზეა მიკრული ახ, აჰ! . ხელით აჩვენებს თამახის ოდენაა! აბა!

რიმ. ნიჭიერი ყოფილა, ენაცვალოს იმას სიდედრი.

იაგ. სობსტვენნო ღოვორია, უნივერსიტეტს უფრო ადრე გაათავებს... იანგარიშე, თუ თორმეტი კლასი ოთხ წელიწადში გაათავა, ხუთ კურსს ორ წელიწადში გაათავებს: რაზ რუზ და განჩალ! კაკ მოჟნა!

რიმ. რა ვიცი, ქა ზოგი ერთები კი ქერივით აღარ შორდებიან იმ რუსეთსა და!.. გენაცვალე, ბერდებიან, ქალარა ერევათ და კიდე ვერ გაუთავებიათ. იაგორ მიტროფონიჩ, განათლებული კაცი ხარ და შენ გეცოდინება ამის მიზეზი.

იაგ. სობსტვენნო ღოვორია შიათ! კოლდა ქივოთ პუსტოი ღოლოვაც პუსტოი! აი, ჩვენი სიძე... კუშიტ ბუდით, უჩონი ბუდიტ, ჟივოტ პუსტოი ბუდიტ და დურაკ ბუდიტ.

რიმ. ვაი, ნეტავი ისე დაიწერდეს პირჯვარს, რომ იმ ხუთ წელიწადს, როგორც შენ ბრძანებ ორად შემიმოკლებდეს და კუშიტს როგორ დავაკლებ. ყოველ კვირა ნაზუქებს გავუგზავნი, ენაცვალოს სიდედრი... მაშ, იაგორ მიტროფონიჩ, რას ამბობენ, ძალიან ნასწავლი იქნებაო?

იაგ. პროფესორი!

რიმ. ვუიმე!!, მაშ პროფესორი სიძე მეყოლება?.

იაგ. იქნება პროფესორზე მეტიც გამოვიდეს..

რიმ. განა პროფესორზე მეტი კიდევ არი რამე?

იაგ. კაკ მოჟნა —ლები!

რიმ. ქა, ლები რაღაა?

იაგ ლები.. სობსტვენნო ღოვორია, ის არის. პროფესორზე მეტია... იმისთანა განათლებულია, რომ ხელმწიფეზე ნაკლებ კაცს არ დაელაპარაკება თურმე .. სხვას რომ დაელაპარაკოს, ვერავინ ვერაფერს გაუგებს... მარტო ხელმწიფეს ესმის თურმე მისი ლაპარაკი. სულ მასთან იქნება სასახლეში...

რიმ ცოლიც თან ეყოლება?

იაგ. ცოლი —დედოფალთან!

რიმ. ქა, ქა, ქა!.. იაგორ მიტროფონიჩ, ჩემი ტასო რომ სასახლეში დავინახო დედოფლის გვერდით, ხომ ჭკვაზე შევიშალე!.. გენაცვალე, ეხლა რითი გადავიხადო რომ ამისთანა ბედი სახლში მომიყვანე?!,

იაგ. სობსტვენნო ღოვორია, მე ღარიბი კაცი ვარ... ჩემი ხელობა ეს არის და... თუ გასამჯელოს არ დამაკლებ..

რიმ. დაგაკლებ კი არ მოგიმატებ, გენაცვალე, მოგიმატებ!. ჯვარს დაიწერს თუ არ— შენს ფულს ჩაგაბარებ..

იაგ. სობსტვენნო ღოვორია, ჯვრის დაწერამდისაც ნაწილი... ზარი

რიმ. ქა, რაღა ვქნა?.. ბიჭო, ღიანო ა? დაიძახის.

დიან. რა გინდა?

რიმ. შენი სიკვდილი!..

დიან ვაა, სიკვდილი რათა?!.

რიმ. წადი, კარი გააღე!.. მაგრამ, მაიცა. რასა გევხარ, შე არ დასაცალებელო!?

დიან. ვაა, მე რა ვიცი?

რიმ. გასწი, სამზარეულოში!.. მე თითონ გავუღებ... დიანოზს გადის. რიმსიმე მიდის კარებთან და შეჩერდება. მე რომ კარები გავუღო, უდობნა გამოვა?

იაგ. სობსტვენნო ღოვორია, არ იქნება მთლად უდობნა. მე გავუღებ და მოვიბოდიშებ.

რიმ. ჰო, შენი განათლებული ჭკუის ჭირიმე. შენ იცი. იაგორა გადის. რიმსიმე კარებში გასძახებს: ტასო, გენაცვალე, ჩქარა მორთულ-მოკაზმული, მოვიდნენ.

ტასოს ხმა: მე მზადა ვარ, დედა!

რიმ. მუშტაკი გადაისვი. გუბნოი პამადა არ დაგავიწყდეს. წითელი ლენტი რომ გიყიდე, უკან ის დაიბნიე.

სარკის წინ ტრიალებს. მერე სავარძელში დაჯდება და გაიშმება.

**იაგორა, სოსო, ანეტა.**

რიმ. მობრძანდით, გენაცვალე, მობრძანდით!. თქვენი მოსვლა—ჩვენი აქ დახვედრა ბედნიერი იყოს თქვენი ფეხი ამ ოჯახში. ყველას უხერხულად ხელს ართმევს. დაბრძანდით, გენაცვალეთ! სავარძელს გადაბრუნებს და მიუწევს. პატარძალიც ეხლავე გამოვა. ჯდება უხერხული დუმილი. სკამზე ცმუტავს და იღიმება. როგორ მშვიდობით გიკითხოთ, გენაცვალე?

სოსო გმადლობთ, კარგათ!

რიმ. თქვენა ბარიშნა?

ანეტ. კარგად გახლავართ!

რიმ. თქვენ ამათი რა იქნებით?

ანეტ. ჰმ. ამხანაგი, მეგობარი.

რიმ. ეჭვით შეხედავს. ჰოო? პოდრუგა იქნებით, რა?!

სოსო. დიახ.

რიმ. მერე და პოდრუგის მოწვევა ხომ ნეველტას საქმეა?!

ანეტ. ნუ გეშინიათ, ქალო, მე არაფერი არ ვიქნები. მოვედი მინდა ნიშნობას დავესწრო.

რიმ. ჰოო?.. რატომ, შეიძლება!

იაგ. ვი. პოსაჟონი ატეც ესტ?

სოსო როგორ არა, მყავს.

იაგ. მატ ესტ?

სოსო. მყავს.

რომ. მაშ დღეს დანიშნავ. ერთი კვირის შემდეგ ქორწილიც გავმართოთ, გენაცვალე... ჩემს შვილს რაც დაუტოვა ცხონებულმა მისმა მამამ, ის ხომ არის და არის. ერთ დღეშიკაც არ დავაკლებ. მერე ჩემი ქონება ვისთვის მინდა? ის ჩემ შვილებს არ უნდა დარჩეს? მთელი ქონება ქალის სახელობაზე იქნება ნოტარიუსით დამტკიცებული. რა ვიცი, ერთბაშად გული გადაბრუნდეს, ქალი ხომ უღუკმაპუროთ არ დარჩება?!

სოსო. აბა ეგ რა საფიქრებელია, ბატონო?

რომ. რა ვიცი, ქა! ერთი ავული მას ამბობს, თუ ცოლს გაეყარე—განათლება არისო. შენ კიდევ, სანამ ნივერსიტეტს გაათავებ—თვეში 50 მ. გამოგიგზავნი. 50 მ კარგი ფულია, შვილო, გეყოფა.

სოსო. ეგ ანგარიშშიც მერე იყოს, ბატონო.

რომ. რათა, შვილო, პირობა—პირობაა! ანგარიში საქმეს არ წაახდენს. აბა უანგარიშოთ რა იქნებ?!. როგორ გეტყობა, რომ ჯერ გამოუცდელი ხარ! ძმამა და ძმამ ანგარიში ჰქნეს ისევ ძმები დარჩნენ.

სოსო. ეგ მართალია, მაგრამ...

რომ. ჰო და, შვილო, თუ იმდენ სამადლო საქმეს ჩაიდენ, რომ ხუთწელიწადს ორზე შემომოკლებ ლებს გამოხვალ, მაშინ ჩემისთანა საწყალი ქალის დოვლათი რაღად გინდა? შენა და შენი ქალი სასახლეში იქნები ხელმწიფესთან და დედოფალთან ერთად... მეც ხანდახან მესტუმრებით სასახლეში... მაგრამ, ეჰ, ვინ იცის, იქნებ მაშინ არც კი მიკადროთ?

ტას. ეხ დედა!

რომს. აი, მოვდივარ, შვილო! იაგორ მიტროფანიჩ, შენ შინაური კაცი ბრძანდები, სტუმრები გაართე!.. უკაცრავად, გენაცვალეთ! გადის. სოსო და ანეტა ერთმანეთს დაკვირვებით მისჩერებიან!

ანეტ. აჩომ ანა გავარიტ?

სოსო. ნიჩევო ნე პონიმაიუ!

იაგ. უჩენია—ობრაზოვანია... სობსტვენო ლოვორია... სასახლეში იქნები, ხელმწიფესთან რა მინდა, იაგორ მიტროფანიჩ?

იაგ. ასე მითხრეს—ლები ცამოვაო.

სოსო. მე ხომ მედიკი არა ვარ... რომ ვიყო კიდეცა, ლეიბობას ვინ მომაშავებს? მე ფილოლოგიურ ფაკულტეტზე ვარ.

იაგ. სობსტვენო ლოვარია, ფილოლოგიკაცა კარგია... ია ზნაიტ!

რომს. სკარტში თავს შემოჰკურავს, იაგორ მიტროფანიჩ, ერთ წუთს!.. უკაცრავად, გენაცვალეთ!

იაგ. თქვენ ნუ მოიწყენთ! გადის დიდი პაუზა.

ანეტ. მაშ ეგრე.

სოსო. ანეტა, გთხოვთ, ნულარას მეტყვი... საკმაოდ დამჯერი ვარ... შენგან საყვედური ზედმეტი საჯარო იქნებოდა ჩემთვის.

ანეტ. მე არ გსაყვედურებ.

სოსო. სიყვარულით საყვედური მირჩევნია შენს შემოხედვას.

ან. ჩემ თვალებს ალბათ იმ შიშს გადმოგცემენ, რომ ლოსაც მე განვიცდი.

სოსო. ვისაც შიშობ?

ან. რა თქმა უნდა—შენთვის.

სოსო. თუ ყველა ასე იჩაღის?! ერთი უყვარო—მეორე ირთავენ.

ან. ჯერ ჩემ ყვარელობა იმდენად არ დამიკარგავს, რომ ჩემი სიყვარული ძალად მოგახვიო თავზე, მაგრამ ბოლოს.. ბოლო მაფიქრებს.

სოსო. რა ყვავივით დამჩხავი?!

ან. უარესიცა რომ მითხრა—მოგითმენ.

სოსო. მაპატიე, შენი შეურაცყოფა არ მინდოდა.. როგორც მეგობარს..

ან. მეგობარს-კი, შეგიძლია ყველაფერი უთხრა... მე ჯერ ქალი არ მინახავს, მაგრამ შენი სიდედრის ქცევა და ლაპარაკი ნუ თუ არაფერს გეუბნება?

სოსო. მაშ რა ვქნა—ერთიმითხარი? მართალია, მიყვარდი... ეხლაცა მიყვარხარ, უშენოდ სიცოცხლე ვერც-კი წარმომედგინა, მაგრამ აბა დაფიქრდი—განამარტო სიყვარულით ცხოვრება შეიძლება? ყოველ წელ ლუკმა პურზე ფიქრმა და ზრუნვამ ხომ შეგვაძულა ერთმანეთი? ს მილი მილიმ ი რაიუ ვ შალაშე ი ტყუილია! ეს რომანია,—ცხოვრება-კი სულ სხვაა! შენ ქალი ხარ და არ გიყურს ცხოვრებას ჩაუკვირდე

ან. მე გთხოვ, მაგ კილოთი ნუ მელაპარაკები

სოსო. მაპატიე!.. მე სწავლა მინდა—საშუალება კი არა მაქვს .. ესენი დამეხმარებიან. უნივერსიტეტში წავალ..

ან. ნასწავლ სიძეს ყიდულობენ და შენც თავს ჰყიდი!

სოსო. რა საჭიროა ასეთი სიტყვები?!. თუნდაც ასე იყოს—სად არის აქ ცოდო და დანაშაული?!

ან. იყოს სიზმარი და განქრა იგი!

სოსო. იყო სინამდვილე და დარჩა იგი...

ან რამდენი განსხვავება მწერალსა და ადამიანს შუა.

სოსო. განსხვავებაა ოცნებასა და სინამდვილის შუა.

ან. დღევანდელი შენი ესკიზი მშვენიერი გამომხატველია შენი პიროვნებისა...

დას. იქნება

ვ. შალიკაშვილი

## ახალგაზრდა მომღერალი



დავით ლეჟავა

ავაზაკის ხელმა უდროოდ გააქრო სამუსიკო ხელოვნების ერთი უნიჭიერესი ნორჩი ყვავილთაგანი. თბილ. კონსერვატორიის მოწაფე დავით ლეჟავა, რომელსაც არაჩვეულებრივი ხმა ჰქონდა. დათიკო ლეჟავა დაიბ. 1890 წ. ს. არგვეთში (შორაპნ. მაზ.) პირველ დაწყებითი სწავლის გათავების შემდეგ სადგურ ბაქოს ტელეგრაფისტად დაიწყო სამსახური, მაგრამ ბავშვობიდანვე მუსიკის სიყვარულმა ისე გაიტაცა, რომ თუმცა ღარიბი იყო, თბილ. კონსერვატორიაში გადმოვიდა, სადაც პროფ. ბროჯის სტიპენდიით სწავლობდა 1918 წ. დაიმსახურა ჩაიკოვსკის ხელობის სტიპენდია.

ყოველი მისი გამოსვლა დიდს აღტაცებას იწვევდა. იგი მომავალ სეზონ აპირებდა, გამოსვ. მაგრამ ბოროტმა ხელმა აღარ აცალა: აპრილის 10 საღამოთ ავაზაკებმა ხანჯლით მოკლეს.

მოისმა უდროო და უბედურმა სიკვდილმა საერთო მწუხარება გამოიწვია, მიცვალებული აპრილის 12 სამშობლო სოფელში გაასვენეს. გასვენებას დაესწრო დიდი საზოგადოება, განსაკუთრებით თბილისის სახელოვნო სათეატრო საზოგადოება (არა სჩანდენ მხოლო ქართველი მსახიობნი!). სადგურთან მოკლე სიტყვით დაახასიათა იოსებ იმედაშვილმა კუბოს რაედენიმე გვირგვინი ამკობდა.

დამსწრე.

## დ. ლეჟავას ხსოვნას

აღარ გვყავს დათიკო ლეჟავა! ოხ თქვე საძაგლებო, თქვენა!..

იცით მერე ვის ჩასჭკარით ხანჯალი ზურგში?!

თქვენ გამოაცალეთ წუთი სოფელსა მომავალი საამაყო არა მხოლოდ საქართველოს ერისა, არამედ მთელი მსოფლიო ვოკალური ხელოვნებისა!. მერე რას ერჩოდით, რასა?!.

აღარ გვყავს დათიკო!.. ბევრმა და ბევრმა ქართველმა არც კი იცის, თუ ვინ დავკარგეთ!..

თუმცა ეს არც გასაკვირველია, რადგანაც დათიკოს ხმის სხივები მხოლოდ ამოდიოდენ. რომ ვთქვათ დათიკოს კარგი ხმა ჰქონდა, ეს სულ ცოტა იქნება.

თქვენი მორჩილი მონა კარგად იცნობს რუსეთის საუკეთესო მომღერლებსა!..

და არ იქნება გადაჭარბებული ვსთქვა რომ [illegible] დაზე უფრო დააჯილდოვა ჩვენი დათიკო. უკანასკნელი ჰქონდა პირდაპირ გასაოცარი ბასი ერთ მხრივ ძლიერ მაგარი, ყველა სამ ოქტავაზე მავალი „ფა“ დან დაბალ „ფა“ მდის და მეორე მხრივ კი ხავერდივით ნაზი და ძლიერ სასიამოვნო სმენისთვის. მომავალში დათიკოს ცხადია მოელოდა ბევრად მეტი თვით შალიაპინზედ და ლედუჩზედაც, მაგრამ ის აღარ გვყავს!..

დღეს, როდესაც საქართველო ფეხზე სდგება, როდესაც ამუშავდა ყოველგვარი მხარე ჩვენი ცხოვრებისა, და კერძოთ ვოკალური ხელოვნებაც.., დღე საქართველოს მუსიკოსთა ოჯახმა დაჰკარგეთ ის რომელსაც ბუნება იძლევა ათას წელში მხოლოდ ერთხელ. ეს განგებავ დაილოცოს შენი სამართალი!.

მშვიდობით ამხანაგო!.. მშვიდობით!

ბევრი რამ მინდა ვსთქვა, მაგრამ ასე მგონია ენა ჩამივარდა! მე მხოლოდ იმას ვიტყვი, რო შენი სამი „ფა“ მე ჩემს დღეში არ დამავიწყდება

ვ. დოლიძე

## ირ. ევდოშვილის დაუბეჭდავი ლექსები*)

(ნაწყვეტები)

ხალხი ჰკვნესს, გმინავს, ხალხი იტანჯება,
იმპერატორი ტახტს სისხლით ღებავს;
და თავისი კვერთხით მტარვალ მინისტრებს
მიუძღვნის დიად ქებათა-ქებას!
თვის მხეცს ღენარალებს აძლევს ჩინ-მენდლებს,
ოქროსთვის ახრჩობს ხალხს კატორღაში,
და რომ ღმერთიცკი თვისკენ მიიზიდოს,
ხატებს დაუკრა ვაშა და ტაში!..
სადა ხართ, ხალხნო, გამოიღვიძეთ,
თავისუფლების მხოლოდ ერთგულნო;
ძირს მეფის ტახტი, ძირს ნიკოლოზი,
ეს ჩვენი მეფე უსულ-უგულო!
ხალხნო, თქვენ შვილებს, წელშიმოხრილებს,
ხოცავენ შინა, ხოცავენ გარეთ;
ნუთუ არ გახსოვთ მათ აღზრდაშია
რამდენი შრომა ცრემლი დაღვარეთ?!.
გვწოვენ ქარხნებში, გვწოვენ მის გარეთ,
ბორკილი ადევს ჩვენს წმინდა გრძნობას, —
ძირს მეფის ტახტი, ძირს მინისტრები,
ბოლო მოუღოთ მათ საზიზღრობას!.

ჩვენ მოგვაქვს თავისუფლება
დაკოჟრებულის ხელებით;
ძირს მეფე, ტახტის მონები,
აწ აღარ გავითელებით...

ირ. ევდოშვილი

*) ამ ლექსებს უფრო ვრცლად 1905 წ. ის. ალხანაშვილი ნაძალადევში მიტინგზე კითხულობა ხოლმე ზეპირად და იმ დროს ბევრსაც დაუწერა. თუ ვისმეს მოეპოვება ირ. ევდოშვილის ამ ლექსის ანუ სხვა უფრო ვრცლად, ვსთხოვთ რედაქციას წარმოუდგინოს რომ სრულად აღვადგინოთ. რედ.



სამაგალითო მშობლები ელისაბედ და საბა გოგუაძენი, რომელთაც გმირი შვილები აღუზარდეს ჩვენს სამშობლოსა და რევოლუციას.

## სამაგალითო დედას

(ელისაბედ გოგუაძის სამარესთან მარტის 25 დ. ქანქაველის მიერ წარმოთქმული სიტყვა.)

სახელოვანო ქართველო ქალო! ვისაც ივერ შენს გაცოცხლებულ ცხოვრებასთან და მინდა ბევრი რამ ვსთქვა, ბევრიც ითქმება შენზე, როგორც იშვიათ პირთაგანზე მაგრამ გეტყვით და მჯერა, რომ შენი პატიოსნების დახასიათება მოკლე სიტყვების ჩარჩოებშიაც შეიძლება. შენ ჯილდოთ ძლიერ განგებამ ყველა ის რაც ასე იშვიათია ქართველ ქალებისათვის... შენ კალთაში აღიზარდნენ გმირი შვილები. სამშობლოს დამცველნი და თავისუფლების ერთგულნი დარაჯნი შენ მათ შთაბერე გმირი სული, სული, რომელიც ყოველთვის სცოცხლობს და არ კვდება: შენ მიეცი ჩვენს პატარა საქართველოს „რევოლუციის პირველი მხედარი“ ლადო, რომლის სახელს ისტორია კაზმავს თავისი წითელი ასოებით. შენ ამ ოჯახის, რომელსაც დღეს სამუდამოთ ეთხოვები, საუკეთესო დასაყრდნობი ბოძი იყავი; შენ ამ ოჯახისთვის მთელი პროგრესი იყავ. არ იცოდი დაღლა, დასვენება, შენი აქ გატარებული დღენი მხოლოდ განუწყვეტელი ჯაფა-წვალება იყო, შრომა მოუსვენარი.

შრომა და ფუსფუსი,— აი რა იყო შენთვის ყოველდღიური კითხვა.. და შენ ჟამსა სიბერისას ეძებდი სულის სიმშვიდეს, დასვენებას, განუწყვეტელ შრომაში ნახული სამწარე დღეიდან სიტკბოებით უნდა შეგცვლოდა დღეიდგან უნდა დატკბარიყავი შენი [illegible]მნაყოფით, მაგრამ მოგისწრო მუხთალმა სიკვდილმა და წაგართვა ბედნიერების დღენი.. ბუნებასთან ბრძოლაში ჩვენ სუსტნი ვართ.. მის კანონს ყოველთვის თავისი გააქვს, და გაიტანა კიდეც. ბედნიერი მიხვალ საფლავში მხოლოდ იმით, რომ ბედმა არ გარგუნა მებრძოლ შვილების სიკვდილს შესწრებოდი... თუმც შენ ასეც ამბობდი:— „რა უჭირს მერე, თუ ჩემი შვილები ბრძოლაში დაიხოცებიან? ეს მათი სახელიც არის და ჩემიც!“. დღეს ყველა შენი შვილები აქ სდგანან და მდუღარე ცრემლებით გაცილებენ... უშენობა დააჩნდება ოჯახს შენი აქ ფუსფუსი, მოუსვენარი შრომა, რჩევა დარიგება ოჯახს ხელიდან ეცლება...

მუდამ მოუსვენარი... მიხვალ იქ, სადაც სამუდამოთ განისვენებენ..

და ჩვენმა დედებმა ისწავლონ შენგან, თუ როგორ უნდა დედამ მთელი შრომა სავსებით მიუძღვნას ოჯახს და ასეთი თვალსაჩინო შვილები აღუზარდოს სამშობლოს, როგორც შენს კალთაში აღიზარდნენ [illegible] შენისთანა დედები.

შენ ძვირფასო, უკანასკნელად მშვიდობით გეთხოვება შენი ოჯახი! მშვიდობით გეტყვით ჩვენც. გპირდებით, იმ გზას რომელიც შენ ცოცხლებს გაუკვალე [illegible] სამუდამო იყოს ხსოვნება შენი იმედათ ადამიანთ.



ელისაბედ და საბა გოგუაძეთა შვილები, რომელთაც სამშობლოს დაცვაში თავისი გმირობით თავი ისახელეს: 1, ვალოდია – რევოლიუციის პირველ მხედრად წოდებული, 2, ალფესი, 3, ნოვე და 4, მელენტი,—ოთხივე გიორგის კავალრები.

### ქრისტე აღსდგა!

ცისკარმა ბნელს ფრთა შემოჰკრა,
შეაკრთო და შეარხია;
ზამთრის ყინვით გათოშილსა
სუსხის რიდე შეახია..
აღსდგა ჩვენი მაცხოვარი,
მტრის მახვილით განგმირული,
დაუბრუნდა მას მშვიდობა
და ჩვენ მაშვრალთ—სიხარული.
დედა მიწამ ტაში დაჰკრა,
შვება მისცა ტანჯულთ გულსა,
„ქრისტე აღსდგა! ჭეშმარიტად“—
ათქმევინა ყველა სულსა.
ქრისტე აღსდგა, აწ ჩვენც აღვსდგეთ,
მტკიცეთ მივსცეთ ხელი ხელსა,
შარვანდედად შემოვერტყათ
მისსა მცნებას საყვარელსა!

**დ. გაბრუაშვილი**

# ლეონიდის კურთხევა

### კათალიკოსად

(კვირა დღეს, 23 თებერვალს 1919 წ. ცხეთაში)

ღრუბლიანი დილაა; ჩვენი საყვარელი ცხეთა ნისლით მოფენილია; სვეტიცხოვლის ტაძარი, ეს აკვანი ქართველ ქრისტიანობისა, მოდუმული გამოიყურება. ვით მშვიდი მტრისაგან მანდილ-შეულახავი და შეიდურისაგან დავიწყებული; მას გარშემო ფუსფუსია; ყოვლის შესავალი სულოვ ურიად შეივსება და კოშკის ნანგრევზე აფრიალდა საქართველოს თავისუფლების სამფეროვანი დროშა; ამ დროს მოისმა სამხედრო მუსიკის ხმა და გაისმა გუგუნებული მცხეთის ზარი; ამ ხმამ შეარხია არაგვის ხეობა და მტკვრის უცნაურ გამოსმაურებას ჩაეკონა..

სვეტიცხოველში აგალობდა გუნდი ყრუ ბანი მისცა ტაძრის მეღახულ გუმბათმა და შეფარხალდნენ მტრედნი, თითქო განგებ, რომ ჩვენი ყურადღება მიექციათ საქართველოს საამაყო ნაშთის მდგომარეობისათვის.

იკურთხა მიტროპოლიტი ლეონიდე საქართველოს კათალიკოსად; დაედგა თემას საკათალიკოსო გვირგვინი, რომელიც გვაგონებს ჩვენს ბრწყინვალე წინაპრებს და საქართველოს კეთილდღეობას.

გათავდა წირვა და გამობრძანდა კათალიკოსი; მას მიესალმა ქართველი ლაშქარი მუსიკით; შემდეგ სამხედრო სალამისა სიტყვით მიულოცეს: საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ, მთავრობის წარმომადგენელმა, ინგლისის გენერალმა, საფრანგეთის გენერალმა, სპარსეთის და აზერბეიჯანის რესპუბლიკის წარმომადგენელმა და სხვა და სხვა საზოგადოებების წარმომადგენლებმა; მან ყველას შესაფერისი პასუხი გასცა და დალოცა.

შემდეგ ამისა კათალიკოსმა დალოცა ხალხი და შესთხოვა ზენას საქართველოს გამარჯვება და რა თვალი აღაპყრო მაღლა, სადაც ღრუბელი გადანტულიყო და მზეს თავის სხივი მოეშვა, გაისმა ჯარის სალამი და სამხედრო მუსიკის საქართველოს ჰიმნი. დამსწრე ხალხი ქუდმოხდილი, სულგანაბული გატაცებულიყო იმ მდგომარეობით როცა ითვალისწინებს განვლილ მრავალ ტანჯვას და მომავალ თავისუფლებას.

ისევე მღვდელმთავარმა დაარღვია ასეთი გატაცებული მდგომარეობა, მოსხლიტა თვალი ზენა-აპყრობილი, მივიდა ჯართან და მიმართა სიტყვით:

— გმადლობთ საქართველოს დარაჯნო! ამ საუკუნეებში ბევრი სასიქადულო წინაპრები გვყავთ; ხოლო იმათზე თქვენ ბედნიერნი ხართ, რადგან: იმათ არ იცოდნენ ვის სდარაჯობდნენ და რისთვისა სწირავდნენ თავს; თქვენ-კი წილად გხვდათ დარაჯობა საქართველოსი და თავგანწირვა სამშობლოს თავისუფლებისათვის; ღმერთსა ვთხოვ გამარჯვება წინგიძღოდეთ!.,

ამაზედ იგრიალა ხალხის ხმამ და ხმაურობითვე გასწია სახალხო დარბაზისაკენ.

ნადიმმა გასტანა საღამომდე და ჩამოსულები გაეშურნენ სადგურისაკენ. ხოლო ცხეთის ტაძარი ისევ-ისევე დარჩა მოუვლელი და დაობლებული...

ს. გლახაშვილი

## ერთგული მოხელე



კონსტანტინე ნიკ. ოდიშარია
(კ. მარტვილელი)

აქციზის მოხელე და მწიგნობარი, თითქმის 15 წ. სააქც-უწყებას ემსახურება და ამავე დროს სამშობლო მწიგნობრობაში მონაწილეობს. მან დაუბეჭდა ბევრი საყურადღებო კორესპონდენცია საუსლიმანო საქართველოზე, განსაკუთრებით ჩვენი ისტორიული ნაშთების შესახებ, რაიცა თვალსაჩინო საისტორ. მასალას წარმოადგ.

კ. ოდიშარია კიდევ უფრო ცნობილია როგორც დაუცხრომელი მამულიშვილი და რესპუბლიკის ერთგული მოხელე, მისი ინტერესების ფხიზელი დარაჯი მიუხედავად იმისა რომ ამ ნიადაგზე ბევრი უსიამოვნებ[ა] შეხვედრია.

მისი მუყაითი მუშაობით აღმოჩენილი იქმნა მრავალი სათამბაქო თუ მაგარ სასმელთა საიდუმლო სავაჭრო-ქარხანა, უმეტესათ უცხო ტომთა, რომელნიც ჩვენს ხაზინას სრულიად არვითარ შემოსავალს აძლევდენ, პირიქით აზიანებენ. ამ მხრივ კ. ოდიშარიამ ჩვენს ხაზინას რამოდენიმე ათი მილიონი შემოსავალი მისცა.

იგი ჯერ კიდევ ახალგაზდაა, ჯანღონით სავსე, და მამულის ერთგული სამსახურით გატაცებული. ვუსურვოთ დღეგრძელობა და მრავალ მიმბაძველთა გაჩენ[ა] ჩვენის რესპუბლიკის საბედნიეროდ, ვინაიდან დღეს ასე[თ]... თები გვჭირია.

ი-

## ქუთაისის მუსიკალური სასწავლებელი

თებერვლის 2 1919 წ. ბუნებით უფლამაზესად დაჯილდოებულ დასავლეთ საქართველოს დედა-ქალაქ ქუთაისში გაიხსნა დიდი ხნის ნანატარი ქართული მუსიკალური სასწავლებელი.

ჯერ კიდევ 1919წ. მ. ლობჟანიძის თაოსნობით მცირე ჯგუფმა განიზრახა ქართული ფილარმონიული საზოგადოების ფილიალური განყოფილების დაარსება; მასვე უნდა გაეხსნა მუსიკალური სასწავლებელი, რომელსაც მიზნად ექნებოდა სპეციალური მომზადების გარდა ქართველ მომღერალთა ეროვნული უნდების შედგენა-შეკრება, გამოცემა ქართული სიმღერა—გალობისა დასავლეთ საქართველოისა, რომელიც ესრე მდიდარია. მით უმეტეს საჭირო იყო ამ საქმის დაპირება, ვინაიდან რაც დრო მიდის, თანდათან ჰქრებიან უკანასკნელი მოგიკანები ქართული სიმღერა-გალობის მცოდნეთა, რომელთაც მამაპაპით ჰქონდათ შესწავლილ-შეთვისებული.

იმ ხანებში დასავლეთ საქართველოში მოგზაურობდა ცნობილი მუსიკოსი მ. ზაქრო ფალიაშვილი, რომელიცა ჰკრებდა მასალებს თავის ოპერა ,,აბესალომ

და ეთერისათვის'. იმანაც მიიღო ხურვალე მონაწილეობა და აღუთქვა დიდი დახმარება, კონცერტის მოწყობით და სხვა. შესდგა კიდევ დროებითი საორგონიზაციო ბიურო სადაც არჩეულ იქმნენ რვა პირი: ბბ. ალ. გარსევანიშვილი, ძმანი მ. და ნ. შარაბიძენი, კ. მაღრაძე, მამა რ. ხუნდაძე ბ. მიქელაძე მ. ლობჟანიძე და გ. თუთბერიძე, მაგრამ, საუბედუროთ, ჯერ ზოგიერთ გადაგვარებულ ვაჟბატონების წყალობით რომ(ლ)თაც სურდათ უსათუოდ საიმპერატორო რუსეთის მუზიკალური საზოგადოების დაარსება, შემდეგ ომის უბედურად მსვლელობამ და რუსეთის დიდმა რევოლუციამ დროებით შეაფერხა საზოგადოების დაარსება.

საქართველომ როგორც-კი აიყარა მონოპის ბორკილი, ხელოვნებას და მეცნიერებას დაეტყო აღორძინება, დაარსდა ქართული ოპერა და სხვა მრავალი.

შარშან თბ. ქართულ ფილარმნიული საზოგადოება გადაკეთდა მუსიკალურ საზოგადოებად, რომელმაც დაისახა მიზნადა ყოველ ქართულ პროვინციაში თავისი განყოფილების და სკოლების გახსნა დამფუძნებულ კრებაზე ბ. ლობჯანიძის წინადადებით ერთხმად მიღებული იქმნა, რომ ქუთაისში დაუყონებლივ გახსნილიყო საზოგადოების განყოფილება სასწავლებელი, გაგზავნილ იქმნა ჩვენი ცნობილი რომანსის შექმნელი კომპოზიტორი მ. ბალანჩივაძე, რომელმაც დააფუძნა საზოგადოებისა განყოფილება და აგრეთვე მუსიკალური სასწავლებელიკა, რომელიც დიდი-ზეიმით გაიხსნა კიდეც ამ საზოგადოების თავმჯდომარეედ თვით მელ ბალანჩივაძეა, იგივეა სასწავლებლის დირექტორად.

სალამი და გამარჯვება ახალ და ნორჩს სასწავლებელს.

**დილეტნტი**

## მეომარი

დაჰკ[ა] საათმა, მ[ო]ძახის გ[უ]მ[ბ]რსა
უებრო ს[ა]ყ[ვა]რ[ე]ლოს [ს]ული და გული:
ჩემი არსების დიდი სიცოცხლე
ჩემი სამშობლო, ჩემი მამული.

მეძ[ა]ხის: მიხ[სე]ნ ტყვეობისაგან
შენი აღმზრდელი, შენი [ძ]ვ[ე]ნი;
მომეცი შვება შენთვის ერთგულსა,
მომხსენ ბორკილი, დამხსენ საკანი.

ყურში ჩამძახის: რისთვის აღგზარდე,
თუ გახდებოდი სხვის მორჩილ მონა,
ჩემი არსების დიდი მშვენება
შენს სათუთ გულ-მკედრს არ ჩაეკონა?!.

და აჰა მ[ე]ც დღეს მივალ სომ[ა]რ[ე]დ,
არ მსურს ვატარო მონის უღელი,
მივ[ს]ე[ვ]წ—მ[ა]ვლეწო ხუნდ-ბორკილები,
სულის მტანჯველი და გულის მკვლელი.

მინდა დავიხსნა მშობელი კ[ერ]ა,
სად[ა]ც მიმღერდა დედა ნანასა,
სადაცა ელე[ვ]და ჩ[ე]ნგი შოთასი
ქართველ [ქ]რისთვის ოქროს ხანისა

დედავ, მშობელო, გ[თხ]ა დ[ა]მილოცე,
რომ შენის ლოცვით ვიყო ძლიერ[ი],
ვიხსნა მამული მტარვალებისგან,
ვიხსნა სამშობლო და ჩემი ერი.

**გ. ხელაშვილი.**

მ ა რ ც ვ ლ ე ბ ი

სიბრძნეს არ გთხოვ, ოღონდ სისულელეს ნუ გამაგონებ.

*

თუ სუმბუქი ხარ, ნუ აიწონები: ისე უფრო ბძიმე ეგონები.

*

გიყვარდეს შორით, —თუ დაუახლოვდი—სიყვარული გაჰქრება.

*

თუ ჩემი მეგობრობა გინდა, გაჭირვებაში მნახე და მიჩვენე შენი სულის თვისება.

*

მე არ მოვკვდები, იმიტომ რომ წუთი უქმად არ დამიკარგავ და მთელ დროს სულს ჩემთან ერთად ვაცხოვრებდი.

*

რაც არ დამითესნია—არც მომკია, ვერც პური მიჭამია!..

**იოსებ არიმათიელი**

ორი აღდგომა.

ძველი და[მ]ნგრა! მოეღო ბოლო
ახლის შენებ[ა]ს მივყავით ხელი.
მე ორ აღდგომას გილოცავთ ეხლა!
თავ[ი]სუფლებ[ი]ს დაჰქრის ნათელი;
ორი აღდგომა! დღესა[ს] წაუქლობს
ჩვენი სურვილი და ჩვენი ნდომა
დიდება! ძლევა შენ; საქართველო!
კიდევ და კიდევ ძლ[ე]ვა, აღდგომა!

**დ. ჭანჭათელი**

ქრისტე აღსდგა!.

შავ წყვდიადში არ ჩნდა მთვარე.
სიო ცელქი ნავარდობდა
და საფლავთან მდგარ დარაჯებს
წყნარ სიმღერით გაართობდა.

არ ჩნდა მთვარე... უცებ შუქი
მიწის გულმკერდს დაებჯინა,
თან გადმოჰყვა ანგელოზი
და უფალი აღადგინა...

**შალვა მოლაშვილი**



**სტ. ჯარის კ[აპიტა]ნი გერმანე ჟვანია სცენის მოყვარე,** შანიძის არეულში მყოფი, სომხების შეტევის დროს გახდა ტიფით ავათ და მცირე ხნის ავამთყოფობის შემდეგ გარდაიცვალა 7ს ქრისტეშობისთვეს

რედაქტორ-გამომცემელი **იოსებ იმედაშვილი**